სს „ჰუალინგ დაზღვევა“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სს „ჰუალინგ დაზღვევა“

სარჩევი

	3-5
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	7
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში	10
ფინანსური ანგარიშების განმარტებები	32
დოკუმენტის ბოლო გვერდი არის	

PKF

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ჰუალინგ დაზღვევის“ მფლობელებს და მენეჯმენტს:

ფინანსური ანგარიშების აუდიტის დასკვნა

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „ჰუალინგ დაზღვევის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშების აუდიტი, რომლებიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; ასევე, ფინანსური ანგარიშების განმარტებებს, მათ შორის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი დასკვნით, თანდართული ფინანსური ანგარიშები ყველა არსებითი ასპექტით სამართლიანად წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსურ შედეგებს და ფულადი ნაკადების მოძრაობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) თანახმად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა განხილულია წინამდებარე დასკვნის თავში სახელწოდებით „აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშების აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით“. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების საბჭოს მიხედვით, (IESBA კოდექსი), ასევე საქართველოში ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების თანახმად, ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან და ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული მოთხოვნებით და IESBA კოდექსით გათვალისწინებული ეთიკური მოვალეობები. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტის მტკიცებულება საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაციაში იგულისხმება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მომზადებული მენეჯმენტის ანგარიში (მაგრამ არ იგულისხმება ეს ფინანსური ინფორმაცია და მასზე მომზადებული ჩვენი აუდიტის დასკვნა), რომელიც მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ. ამ ფინანსურ ინფორმაციაზე მომზადებული ჩვენი დასკვნა არ ვრცელდება სხვა ინფორმაციაზე, მათ შორის არც მენეჯმენტის ანგარიშზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას, როცა ის მოგვეწოდება, და მისი გაცნობის დროს განვიხილოთ, ხომ არ არსებობს რაიმე არსებითი უზუსტობა მასა და ფინანსურ ანგარიშებს შორის, ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის ის სხვაგვარად არსებითად არაზუსტი. ამასთან, ჩვენ მოგვეთხოვება, გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა შესაბამის საზედამხედველო ნორმატიულ აქტებს მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები და ვიმსჯელოთ იმაზე, შეიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ გამოვცემთ განახლებულ დასკვნას, სადაც აღვნიშნავთ, რომ ან ზემოხსენებულთან დაკავშირებით განსაცხადებელი არაფერი გვაქვს, ან, აუდიტს დაქვემდებარებული კომპანიის და მისი გარემოებების შესახებ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, აღვწერთ ჩვენს მიერ მენეჯმენტის ანგარიშში აღმოჩენილ არსებით უზუსტობებს. ჩვენს განახლებულ დასკვნაში ასევე მოცემული იქნება ჩვენი მოსაზრებები წინა პარაგრაფში ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მენეჯმენტის და მმართველობის ფუნქციის მქონე პირების მოვალეობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად; ასევე, ისეთ შიდა კონტროლზე, როგორსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომლებშიც არ იქნება არსებითი უზუსტობები, სულერთია ტყუილის, თუ შეცდომის შედეგად.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტის მოვალეობაა, შეაფასოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საჭიროებისას გაამჟღავნოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო პრინციპი, თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას, ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამგვარი ქმედების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშების აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით

ჩვენი ამოცანებია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ მთლიანად ფინანსურ ანგარიშებში არსებითი უზუსტობები არ არის, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, და გამოვცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არაა იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის მიაკვლევს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოიწვიოს ტყუილმა ან შეცდომამ და არსებითად ითვლება, თუ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, აჩენს გონივრულ მოლოდინს, რომ გავლენას მოახდენს მომხმარებლების მიერ ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით გაკეთებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად აუდიტის ჩატარება მოითხოვს, აუდიტის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, ვამზადებთ და ვასრულებთ აუდიტის ისეთ პროცედურებს, რომლებიც ასეთ რისკებზეა ორიენტირებული და ვიღებთ აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის

ჩამოყალიბებისთვის. იმის რისკი, რომ აუდიტი ვერ მიაკვლევს ტყუილით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის ვერმიკვლევის, რადგან ტყუილი შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციებს ან შიდა კონტროლის გადამეტებას;

- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის კანონზომიერებას და მენეჯმენტის მიერ მოწოდებული სააღრიცხვო პროგნოზების და მასთან დაკავშირებული გამჟღავნებების გონივრულობას.

- ვამზადებთ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონზომიერად იყენებს მენეჯმენტი ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო პრინციპს და მიღებული აუდიტის მტკიცებულების საფუძველზე ვასკვნით, არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, მუშაობა გააგრძელოს, როგორ ფუნქციონირებადმა საწარმომ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების საერთო პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, გამჟღავნებების ჩათვლით; ასევე იმას, წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები მიმდინარე ტრანზაქციებს და მოვლენებს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს სამართლიანად წარმოდგენის მიზნებს.

მენეჯმენტთან სხვა საკითხებზე კომუნიკაცია არ გაკეთებულა.

მენეჯმენტს ასევე მივაწოდეთ ანგარიში, რომელიც დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ეთიკური მოთხოვნების დაცვით შევადგინეთ და მათ მოვახსენეთ ყველა იმ ურთიერთობის და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც შეიძლება გონივრულად დავუკავშიროთ ჩვენს დამოუკიდებლობას.

ჩვენ გვჯერა, რომ აუდიტის ის მტკიცებულება, რომელიც მივიღეთ, საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის.

აუდიტის, რომლის შედეგადაც მომზადდა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია დავით გვეტაძე.

13 თებერვალი, 2019

თბილისი, საქართველო

სს „ჰუალინგ დაზღვევა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათასი ლარი

	განმარტ.	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	368	4,307
საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები	6	6,036	-
სადაზღვევო მისაღები შემოსავლები	7	2,097	-
გადაზღვევიდან მისაღები შემოსავლები	8	192	-
გადაზღვევის აქტივები	9	1,914	-
გადავადებული საკომისიო ხარჯები		8	-
არამატერიალური აქტივები		24	-
უძრავი ქონება და მოწყობილობა		25	-
სხვა აქტივები		49	-
მთლიანი აქტივები		**10,713**	**4,307**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	4,300	4,300
გაუნაწილებელი მოგება		1,460	6
მთლიანი კაპიტალი		**5,760**	**4,306**
ვალდებულებები			
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	11	2,568	-
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	12	1,898	-
გადავადებული საკომისიო შემოსავალი გადაზღვევის კონტრაქტებიდან	13	151	-
გადავადებული გადასახადი		7	-
სხვა ვალდებულებები	14	329	1
მთლიანი ვალდებულებები		**4,953**	**1**
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		**10,713**	**4,307**

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
13 თებერვალი, 2019

თბილისი, საქართველო

10-32 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 3-5 გვერდებზე.

სს „ჰუალინგ დაზღვევა“
მოგება-ზარალის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათასი ლარი

	განმარტ.	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ბრუტო მოზიდული პრემიები სადაზღვევო ხელშეკრულებებზე	15	5,442	-
ბრუტო მოზიდული პრემიების გადამზღვეველის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებზე	15	(2,738)	-
წმინდა მოზიდული პრემია		**2,704**	
ცვლილებები გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვებში	15	(2,351)	-
გადამზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვებში	15	1,904	-
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი		**2,257**	
წმინდა ანაზღაურებული სადაზღვევო ბენეფიტები და ზარალები		(79)	-
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებებში	17	(202)	-
წმინდა სადაზღვევო ზარალები		**(281)**	
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები	18	(324)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(144)	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(1)	-
საპროცენტო შემოსავალი	16	491	8
მოგება საკურსო სხვაობიდან		13	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(281)	(1)
სხვა ხარჯები		**(246)**	**7**
მთლიანი ზარალები და ხარჯები		**(527)**	**-**
მოგება დაბეგვრამდე		**1,730**	**7**
მოგების გადასახადი (ხარჯი)	21	(275)	(1)
პერიოდის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		**1,455**	**6**

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
2019 წლის 13 თებერვალი

თბილისი, საქართველო

10-32 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 3-5 გვერდებზე.

სს „ჰუალინგ დაზღვევა“
მოგება-ზარალის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათასი ლარი

	განმარტ.	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ბრუტო მოზიდული პრემიები სადაზღვევო ხელშეკრულებებზე	15	5,442	-
ბრუტო მოზიდული პრემიების გადამზღვეველის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებებზე	15	(2,738)	-
წმინდა მოზიდული პრემია		**2,704**	
ცვლილებები გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვებში	15	(2,351)	-
გადამზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვებში	15	1,904	-
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი		**2,257**	
წმინდა ანაზღაურებული სადაზღვევო ბენეფიტები და ზარალები		(79)	-
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებებში	17	(202)	-
წმინდა სადაზღვევო ზარალები		**(281)**	
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები	18	(324)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(144)	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(1)	-
საპროცენტო შემოსავალი	16	491	8
მოგება საკურსო სხვაობიდან		13	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(281)	(1)
სხვა ხარჯები		**(246)**	**7**
მთლიანი ზარალები და ხარჯები		**(527)**	**-**
მოგება დაბეგვრამდე		**1,730**	**7**
მოგების გადასახადი (ხარჯი)	21	(275)	(1)
პერიოდის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		**1,455**	**6**

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
2019 წლის 13 თებერვალი

თბილისი, საქართველო

10-32 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 3-5 გვერდებზე.

სს „ჰუალინგ დაზღვევა“
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათასი ლარი

	განმარტ	სააქციო	გაუნაწილებელი	მთლიანი
		კაპიტალი	მოგება	კაპიტალი
ბალანსი 2017 წლის 1 იანვარს		-	-	-
2017 წლის მოგება		-	6	6
სააქციო კაპიტალის ზრდა/შემცირება		4,300	-	4,300
დეკლარირებული დივიდენდები		-	-	-
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერს		4,300	6	4,306
2018 წლის მოგება		-	1,455	1,453
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერს		4,300	1,461	5,759

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
2019 წლის 13 თებერვალი

თბილისი, საქართველო

10-32 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 3-5 გვერდებზე.

სს „ჰუალინგ დაზღვევა“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათასი ლარი

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ფულადი ნაკადების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	2,503	-
ანაზღაურებული გადაზღვევის პრემია	(242)	-
წმინდა მიღებული სადაზღვევო პრემია	**2,261**	**-**
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	(50)	-
გადახდილი ხელფასები და ბენეფიტები	(319)	-
საქონლის და მომსახურების სხვა მომწოდებლებისთვის გადახდილი ფული	(125)	(1)
მიღებული პროცენტი		8
სხვა საოპერაციო (გადახდილი ხარჯები)/მიღებული შემოსავალი	(32)	-
წმინდა ფულადი ნაკადების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადამდე	**1,735**	**7**
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	**1,735**	**7**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადების მოძრაობა		
შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის შესყიდვა	(44)	
წმინდა ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	**(44)**	**-**
ფულადი ნაკადების მოძრაობა დაფინანსების საქმიანობიდან		
მფლობელის შენატანი	-	4,300
მიღებული პროცენტი	401	-
წმინდა ფულადი ნაკადების მოძრაობა დაფინანსების საქმიანობიდან	**401**	**4,300**
გაცვლითი კურსის გავლენა ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	4	
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**2,096**	**4,307**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**4,307**	**-**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**6,403**	**4,307**

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
13 თებერვალი, 2019

თბილისი, საქართველო

10-32 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 3-5 გვერდებზე.

სს „ჰუალინგ დაზღვევა“

ფინანსური ანგარიშების განმარტებები

1. ზოგადი ინფორმაცია

ეს ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის სს „ჰუალინგ დაზღვევისთვის“ (შემდგომში „კომპანია“).

სს „ჰუალინგ დაზღვევა“ 2017 წლის 11 დეკემბერს დაარსდა და საქართველოში ფუნქციონირებს. რეგისტრაციის ორგანოა საქართველოს შემოსავლების სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი 406232214. კომპანია სააქციო საზოგადოებაა შეზღუდული აქციებით და საქართველოს რეგულაციების თანახმად შეიქმნა. 2018 წლის 31 დეკემბერს, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო საქართველოში მოღვაწე სს „ბაზისბანკი“.

აქციონერები	2018	2017
სს „ბაზისბანკი“	100%	100%

ძირითადი საქმიანობა

კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობაა სადაზღვევო ბიზნესოპერაციები საქართველოს შიგნით. კომპანიას აქვს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიები, რომლებიც გაცემულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის მიერ და ძალაშია 2017 წლის 27 დეკემბრიდან.

კომპანიას საქართველოში 1 ფილიალი აქვს და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 22 თანამშრომელი ჰყავდა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან წამებულის გამზ. 1.

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS") მიხედვით, ანუ საერთაშორისო საღრიცხვო სტანდარტების საბჭოს ("IASB") სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიხედვით, რომლებიც ძალაში იყო 2018 წლის 31 დეკემბრისთვის.

ფინანსური ანგარიშები მოიცავს სრული შემოსავლის ანგარიშს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშს, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს და განმარტებებს.

რადგან ის სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, საერთაშორისო საღრიცხვო სტანდარტების საბჭოს ("IASB") ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის ("IFRIC") მიერ შემოღებაზე ან შესაძლო ცვლილებაზეა დამოკიდებული, მენეჯმენტი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ამ ცვლილებების გამო ფინანსურ ანგარიშებში საჭირო გახდეს კორექტირებები, სანამ ისინი საბოლოო ფინანსურ ანგარიშებად ჩამოყალიბდება.

ფინანსური ანგარიშები მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

სს „ჰუალინგ დაზღვევის" მენეჯმენტმა წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. ამ მიმართულებით მსჯელობისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და წვდომა ფინანსურ რესურსებზე. მენეჯმენტისთვის ცნობილი არაა ის არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვან ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, მუშაობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სადაზღვევო ხელშეკრულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებები განისაზღვრება, როგორც ის ხელშეკრულებები, რომლებიც დასაწყისშივე შეიცავს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, ან ის ხელშეკრულებები, სადაც ხელშეკრულების დადებისას არსებობს კომერციული ხასიათის სცენარი, სადაც სადაზღვევო რისკის დონე შეძლება მნიშვნელოვანი იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელოვნება დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის ალბათობაზე, ისე მისი პოტენციური ზეგავლენის მასშტაბზე.

იმის შემდეგ, რაც ხელშეკრულება კლასიფიცირდება, როგორც სადაზღვევო, ის სადაზღვევო ხელშეკრულების სტატუსს შეინარჩუნებს მისი მოქმედების დარჩენილი პერიოდის ბოლომდე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვნად მცირდება, თუ ყველა უფლება და მოვალეობა არ შეწყდება და ვადა არ გაუვა.

დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები

სადაზღვევო მისაღები შემოსავლები აღიარდება სადაზღვევო პოლისის პირობების მიხედვით და ფასდება პირველადი ღირებულებით. დაზღვევიდან მისაღები შემოსავლების საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურების თვალსაზრისით, როცა გარემოებები ან მოვლენები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება ვერ ანაზღაურდება. გაუფასურების ზარალი კი აისახება მოგებაში ან ზარალში.

სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები

რეზერვის აღიარება ხდება, როცა ხელშეკრულებები ძალაში შედის და პრემიები იწერება ხარჯებში. რეზერვი გადადის ანგარიშზე პრემიის შემოსავლის სახით ხელშეკრულების ვადის განმავლობაში სადაზღვევო მომსახურების იმ სახით, რაც ხელშეკრულებაშია გაწერილი. თითოეულ საანგარიშგებო დღეს ანგარიშდება აქტიურ პოლისებზე გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება სადაზღვევო პერიოდის და დროის მიხედვით, თითოეული სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვის დღემდე. კომპანია ვადაგაუსვლელ რისკს ამოწმებს ცალკეული ბიზნესმიმართულებების ისტორიული შედეგების მიხედვით, რითაც ადგენს მოსალოდნელი ზარალების საერთო ცვლილებას. გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვებს, ზარალის რეზერვებს და მოსალოდნელ ზარალებს შორის განსხვავება მოგებაში ან ზარალში აღიარდება პრემიის რეზერვის ცვლილების შექმნით.

გადავადებული საკომისიო ხარჯები

გადავადებული საკომისიო ხარჯები ("DAC") სადაზღვევო პოლისების გაცემასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული ხარჯებია. ისინი შედგება აგენტებისთვის, ბროკერებისთვის და ზოგიერთი თანამშრომლისთვის გადახდილი საკომისიოებისგან. ისინი ამორტიზდება წრფივი მეთოდით ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისგან და საკრედიტო ინსტიტუტებისგან მისაღები თანხებისგან, რომლებსაც წარმოშობის დღიდან სამი თვის განმავლობაში დაუდგება ვადა და არ აქვს სახელშეკრულებო დატვირთვა.

სესხები და მისაღები შემოსავლები

სესხები და მისაღები შემოსავლები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან დადგენადი დაფარვებით, რომლებიც არაა კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ეს ინვესტიციები თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარდება, რაც ინვესტიციის შესყიდვისთვის გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას წარმოადგენს. ინვესტიციის თვითღირებულებაში ასევე შედის შესყიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა ტრანზაქციის ხარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ეს ინვესტიციები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოგება და ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდება, როცა სესხების და მისაღები შემოსავლების აღიარება შეწყდება ან ისინი გაუფასურდება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

გაცემული სესხები და სხვა მისაღები შემოსავლები საწყისი ინვოისის ღირებულებით აღიარდება. როცა ფულის დროითი ღირებულება არსებითია, მისაღები შემოსავლები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ოფსეტირება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ოფსეტირება და წმინდა თანხის განცხადება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ოფსეტირების კანონის ძალის მქონე უფლება და არის ან წმინდად ანაზღაურების, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების ანაზღაურების განზრახვა. შემოსავალი და ხარჯი არ ოფსეტირდება მოგებაში ან ზარალში, თუ ამას არ მოითხოვს ან ამის ნებართვას არ იძლევა სააღრიცხვო სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, როგორც ეს კონკრეტულად გამჟღავნებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულებით გაანგარიშება

კომპანია ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა წარმოებულები და გარკვეული არაფინანსური აქტივები, აღრიცხავს, როგორც საინვესტიციო ქონებას სამართლიანი ღირებულებით თითოეულ საბალანსო დღეს. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ამორტიზებული ღირებულებით იანგარიშება.

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელსაც მივიღებდით აქტივის გაყიდვით ან რომელსაც გადავიხდიდით ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ორმხრივ ტრანზაქციაში გაანგარიშების დღეს. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება იმ დაშვებას ეფუძნება, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ტრანზაქციას ადგილი აქვს, ან:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობისას, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება იანგარიშება იმ დაშვებით, რასაც ბაზრის მონაწილეები გააკეთებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, იმ პირობით, რომ ბაზრის მონაწილეები საუკეთესო ეკონომიკური ინტერესით იხელმძღვანელებდნენ. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილის უნარს, გამოიმუშაოს ეკონომიკური სარგებელი იმით, რომ აქტივი უმაღლესი და საუკეთესო ფუნქციით გამოიყენოს ან მიჰყიდოს ის ბაზრის სხვა მონაწილეს, რომელიც აქტივს უმაღლესი და საუკეთესო ფუნქციით გამოიყენებს.

უძრავი ქონება და მოწყობილობა

უძრავი ქონება და მოწყობილობა გარდა საოფისე შენობებისა აღირიცხება ასე: თვითღირებულებას

გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და რაიმე აკუმულირებული ღირებულების გაუფასურება. ამგვარი თვითღირებულება მოიცავს მოწყობილობის ნაწილის გამოცვლის ხარჯს, როცა ეს ხარჯი გაიწევა აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების პირობებში.

ქონების და მოწყობილობის საბალანსო ღირებულება გადაისინჯება გაუფასურების თვალსაზრისით, როცა მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება ვერ ანაზღაურდება. გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ხარჯი.

თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარების შემდეგ, საოფისე შენობები აღირიცხება გადაფასებული თანხით, რაც არის სამართლიან ღირებულებას გადაფასების დღეს გამოკლებული რაიმე შემდგომი აკუმულირებული ცვეთა და შემდგომი აკუმულირებული გაუფასურების დანაკარგები. გადაფასება საკმაო სიხშირით კეთდება, რათა დარწმუნდნენ, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება საბალანსო ღირებულებისგან.

თუ აქტივის საბალანსო ღირებულება გადაფასების შედეგად იზრდება, ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში, სხვა რეზერვების კატეგორიაში. თუმცა, ზრდა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში იმდენად, რომ მან ამოაბრუნოს წინა პერიოდში მოგებაში ან ზარალში აღიარებული იმავე აქტივის გადაფასების შემცირება. თუ აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდება გადაფასების შედეგად, ეს შემცირდება უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში. თუმცა, შემცირება უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში იმდენად, რომ ამ აქტივის გადაფასების ნამეტში არსებობდეს კრედიტის ნაშთი. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირება ამცირებს კაპიტალში, სხვა რეზერვების კატეგორიაში აკუმულირებულ თანხას.

აკუმულირებული ცვეთა გადაფასების დღის მდგომარეობით ელიმინირდება აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებასთან და წმინდა თანხა ხელახლა განცხადდება აქტივის გადაფასებულ ღირებულებაში. გასხვისებისას, კონკრეტულ გასაყიდ აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში.

აქტივის ცვეთა იწყება, როცა ის ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად. ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდით შემდეგი წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადაში:

	წლები
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და მეთოდები გადაისინჯება და საჭიროებისამებრ კორექტირდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთებასთან და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები გატარდება გაწევის დროს და შეიტანება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციის კატეგორიას არ ეკუთვნის.

ქონების და მოწყობილობის კატეგორიაში შემავალი მუხლის აღიარება წყდება გასხვისებისას ან მაშინ, როცა მისი გამოყენების, ან გასხვისებისგან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან მიღებული მოგება ან ზარალი (რომელიც იანგარიშება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) იმ წლის მოგებაში ან ზარალში შეიტანება, რომელ წელსაც მოხდა ამ აქტივის აღიარების შეწყვეტა. საიჯარო ქონების რემონტი (კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით) ამორტიზდება შესაბამისი საიჯარო აქტივის არსებობის პერიოდში ან მოსალოდნელ საიჯარო ვადაში, თუ ის უფრო ნაკლებია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების (ან, ზოგ შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილი ან კომპანიის ნაწილი მსგავსი აქტივებით) აღიარება წყდება, როცა:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია,
- კომპანიას გადაცემული აქვს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან, შენარჩუნებული აქვს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, მაგრამ აღებული აქვს ვალდებულება, მათ თანხა სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს არსებითი დაყოვნების გარეშე, გასული პერიოდის შეთანხმების მიხედვით;
- კომპანიას ან: ა) გასხვისებული აქვს აქტივის ფლობის ყველა რისკი და სარგებელი ან ბ) აქტივის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ გასხვისებული აქვს კონტროლი ამ აქტივზე.

როცა კომპანიას გადაცემული აქვს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებები და აქტივის ყველა რისკი და სარგებელი არც შენარჩუნებული აქვს და არც გასხვისებული, და არც ამ აქტივზე კონტროლი აქვს გადაცემული, აქტივი აღიარდება კომპანიის ამ აქტივთან დაკავშირებით ჩართულობის მიხედვით. როცა ჩართულობა გრძელდება და გადაცემულ აქტივზე გარანტიის ფორმას იღებს, ის ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ ანაზღაურებას შორის უმცირესი სიდიდით, რომლის გადახდაც კომპანიას მოეთხოვებოდა.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როცა ამ ვალდებულებით დაკისრებული მოვალეობა მოიხსნება ან უქმდება ან ვადა გაუვა.

როცა არსებული ფინანსური ვალდებულება მეორით იცვლება იმავე კრედიტორისგან და მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება, ამგვარი ურთიერთგაცვლა ან მოდიფიკაცია აღირიცხება ასე: თავდაპირველი ვალდებულების აღიარება წყდება და აღიარდება ახალი ვალდებულება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა კი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

ამჟამად მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საქართველოში მოქმედი რეგულაციების თანახმად.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება დროებითი განსხვავებების მიხედვით ვალდებულების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები იანგარიშება ყველა დროებითი განსხვავების მიხედვით, რომლებიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის ან აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებიდან იმ ტრანზაქციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ტრანსაქციის დროს არც სააღრიცხვო მოგებაზე ახდენს გავლენას და არც დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი ტარდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგება იარსებებს, რომელთანაც გაქვითვადი დროებითი განსხვავებების უტილიზება იქნება შესაძლებელი. გადავადებული აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების ანაზღაურების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით (რომლებიც გაუნაწილებელი მოგებაზე ვრცელდება) რომლებიც საანგარიშგებო დღეს შევიდა ძალაში ან ძირითადად შევიდა ძალაში.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია შვილობილ საწარმოებში, ასოცირებულ საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციებიდან წარმოშობილი დროებითი განსხვავებებით, გარდა იმ ვითარებისა, როცა დროებითი განსხვავების ამობრუნების ვადა შეიძლება გაკონტროლდეს და არის იმის ალბათობა, რომ დროებითი განსხვავება პროგნოზირებად მომავალში არ განულდება.

საქართველოს ასევე აქვს სხვადასხვა ოპერაციული გადასახადები, რომლებიც კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით ფასდება. ეს გადასახადები შეტანილია სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები იანგარიშება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი აქტივების თვითღირებულება არის სამართლიანი ღირებულება შესყიდვის დღეს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება: თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების დანაკარგები.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება ვადის მქონედ და უვადოდ. არამატერიალური აქტივები ვადიანი პერიოდით ამორტიზდება 4-დან 10 წლამდე სასარგებლო ეკონომიკური ვადის მანძილზე და ფასდება გაუფასურების თვალსაზრისით როცა არის იმის მითითება, რომ არამატერიალური აქტივი შეიძლება გაუფასურდეს. ვადიანი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდები და მეთოდები გადაისინჯება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

უვადო სასარგებლო ვადის მქონე არ ამორტიზდება, მაგრამ უტარდება ტესტირება გაუფასურების თვალსაზრისით ყოველწლიურად ან ინდივიდუალურად, ან ფულის გამომუშავების ერთეულის დონეზე. უვადო სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადა გადაისინჯება ყოველწლიურად, რათა დარწმუნდნენ, მინიჭებული უვადო სტატუსი კვლავ აქტუალურია თუ არა.

პროგრამული უზრუნველყოფის შენახვის ხარჯები გატარდება ხარჯებად, მათი გაწევისას. პროგრამის შემუშავების ხარჯები (ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული პროგრამის შემუშავებასთან და ტესტირებასთან დაკავშირებული ხარჯები) აღიარდება, როგორც არამატერიალური აქტივები, მხოლოდ მაშინ, როცა კომპანიას შეუძლია დაამტკიცოს, რომ პროგრამა ტექნიკურად განხორციელდება, დასრულდება და ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად ან გასაყიდად, რომ მას აქვს მისი დასრულების განზრახვა და აქვს უნარი, გამოიყენოს ან გაყიდოს ეს აქტივი, აჩვენოს, თუ როგორ გამოიმუშავებს ეს აქტივი მომავალში ეკონომიკურ სარგებელს, რომ არსებობს მისი დასრულების რესურსები და მას აქვს უნარი, სანდოდ შეაფასოს ხარჯები მისი შემუშავების დროს. პროგრამული უზრუნველყოფის სხვა ხარჯები აღიარდება ხარჯად მათი გაწევისას.

რეზერვები და პირობითი ვალდებულებები

რეზერვების აღიარება ხდება, როცა კომპანიას აქვს წარსული მოვლენებიდან გამომდინარე ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, და არსებობს ალბათობა, რომ ვალდებულების დასაფარად ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებული რესურსების გადინება იქნება საჭირო და შეიძლება ვალდებულების ოდენობის სანდო საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრა.

როცა კომპანია მოელის რეზერვის ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების

ფარგლებში, ანაზღაურება აღიარდება, როგორც ცალკე აქტივი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ანაზღაურების მიღება უეჭველია.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან უშუალოდ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისა, ნაჩვენებია კაპიტალში, როგორც გამოქვითვა შემოსულობებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ნამატი აღიარდება, როგორც დამატებითი განაღდებული კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და იქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების დღეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მანამდე ან ანგარიშგების დღესაა დეკლარირებული. დივიდენდები მჟღავნდება, როცა შეთავაზებულია ანგარიშგების დღემდე ან შეთავაზებული ან დეკლარირებულია ანგარიშგების დღის შემდეგ, მაგრამ ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაქვეყნებლად დამტკიცებამდე.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

წმინდა სადაზღვევო შემოსავალი

ანაზღაურებული სადაზღვევო პრემიები აღიარდება პოლისის გაცემისას და ამ პოლისის მოქმედების ვადის მანძილზე პროპორციულად გამომუშავდება. ანაზღაურებული პრემიები ასახავს პერიოდის განმავლობაში დაწყებულ საქმეს და გამორიცხავს გაყიდვებიდან გამომდინარე გადასახადებს ან მოსაკრებლებს.

გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი

მომდევნო პერიოდებთან დაკავშირებული ანაზღაურებული პრემიების პროპორცია გადავადდება, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება გადაიტანება მოგებაში ან ზარალში იმ თანმიმდევრობით, რომ შემოსავალი აღიარდეს რისკის პერიოდის მანძილზე, ან ანუიტეტებისთვის, მოსალოდნელი მომავალი სარგებლის დაფარვების განმავლობაში.

წმინდა სადაზღვევო ზარალები

დამდგარი სადაზღვევო ზარალები მოიცავს პერიოდის განმავლობაში მომხდარ ყველა ზარალის დანაკარგს, სულერთია განცხადებული იყო თუ არა, მათ შორის მათი დამუშავების ხარჯებს და სხვა ანაზღაურებას და წინა პერიოდებიდან აუნაზღაურებელი ზარალების კორექტირებას. ზარალების დამუშავების ხარჯები მოიცავს ზარალების მოლაპარაკების და ანაზღაურების შიდა და გარე ხარჯებს, მაგალითად ოჯახის ექიმების ხელფასებს. შიდა ხარჯები მოიცავს ზარალების დეპარტამენტის ყველა პირდაპირ ხარჯს და ზარალების ფუნქციასთან პირდაპირ დაკავშირებულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილს.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება

ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ქართული ლარით, რომელიც კომპანიის ფუნქციური და წარმომადგენლობითი ვალუტაა. სავალუტო ტრანზაქციები თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციური ვალუტით, რომელიც კონვერტირდება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი

კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ის) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის გადაანგარიშების ტრანზაქციებიდან გამომდინარე მოგება და დანაკარგები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც საკურსო სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება.

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და ტრანზაქციის დღეს არსებულ სებ-ის გაცვლით კურსს შორის სხვაობა შეიტანება კატეგორიაში „საკურსო სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება". სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო:

	USD	EUR
31 დეკემბერი, 2018	2.6766	3.0701
31 დეკემბერი, 2017	2.5922	3.1044

პროგნოზის განუსაზღვრელობა

ქვემოთ მოცემულია პროგნოზის განუსაზღვრელობის მომავლის და სხვა ძირითადი წყაროების მთავარი დაშვებები ანგარიშგების დღეს, რომლებიც მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს შეიცავს:

სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზარალების ვალდებულება

სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, წინასწარი შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც ანგარიშგების დღეს განცხადებული ზარალების მოსალოდნელი საბოლოო ხარჯისთვის, ისე დამდგარი, მაგრამ ჯერ არგანცხადებული (IBNR) ზარალების მოსალოდნელი საბოლოო ხარჯისთვის. ზარალების საბოლოო ხარჯის სიზუსტით დადგენას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს. სადაზღვევო ზარალების საერთო რეზერვები არ დისკონტირდება ფულის დროითი ღირებულებით.

სადაზღვევო მისაღები შემოსავლების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად იხილავს სადაზღვევო პრემიებიდან მისაღებ შემოსავლებს და აფასებს გაუფასურების თვალსაზრისით. სააღრიცხვო მიზნებისთვის, კომპანია გაუფასურებული სადაზღვევო პრემიებიდან მისაღები შემოსავლების დანაკარგების აღიარებისთვის იყენებს დამდგარი ზარალის მოდელს. ეს ნიშნავს, რომ დანაკარგები მხოლოდ მაშინ შეიძლება აღიარდეს, როცა დაფიქსირდება კონრეტული ზარალის მოვლენის ობიექტური მტკიცებულება. მოდელი და გაუფასურებული თანხების გამოვლენის და მათი შემდგომი დარეზერვებისადმი მიდგომა უმეტესად დავალიანების დღეების რაოდენობაზეა აგებული.

თუ არსებობს ცალკეული მნიშვნელოვანი კლიენტის გადახდისუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მისაღები შემოსავალი ცალკე ფასდება გაუფასურების თვალსაზრისით. გამომწვევი მოვლენები შეიძლება იყოს კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე და/ან ხელშეკრულების დარღვევა, როგორიცაა გადახდის დეფოლტი.

კრებითი მიზნებისთვის, მენეჯმენტის მოსაზრებაა, რომ ისტორიული ტენდენციები შეიძლება დამდგარი დანაკარგების პროგნოზირების საფუძველი გახდეს და რომ ეს მიდგომა შეიძლება გამოყენებული იქნას ანაზღაურებადი ვალების პროგნოზირებისთვის საანგარიშგებო პერიოდის დასასრულის მდგომარეობით.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს წინასწარი შეფასებებისგან. კომპანიის წინასწარი შეფასებები მომავალში შეიძლება გადაისინჯოს ან ნეგატიურად ან პოზიტიურად, თითოეული პოზიციის ირგვლივ არსებული ფაქტებიდან გამომდინარე შედეგების ან მოლოდინის მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია და გაანგარიშება

ახალი სტანდარტის მთავარი მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს სამი კატეგორიის მიხედვით: 1) შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით აღსაღრიცხი, 2) შემდგომში სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღსაღრიცხი (FVOCI) და 3) შემდგომში მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღსაღრიცხი (FVPL);
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ბიზნესერთეულის მიერ ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელიდან გამომდინარეობს; ასევე იმისგან, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობა წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტის ფლობის მიზანი ფულადი ნაკადების მიღებაა, მისი აღრიცხვა შეიძლება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის ასევე აკმაყოფილებს SPPI მოთხოვნას. SPPI მოთხოვნის შესაბამისი სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც ისეთ პორტფელშია შეტანილი, სადაც კომპანია ინსტრუმენტებს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობს და თან აქტივებს ყიდის, შეიძლება კლასიფიცირდეს FVOCI-ით. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავს SPPI მახასიათებლის ფულადი ნაკადების მოძრაობას, უნდა აღირიცხოს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულები აღარ ცალკევდება ფინანსური აქტივებისგან, მაგრამ შეტანილი იქნება SPPI მდგომარეობის შეფასებაში.
- ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში ყოველთვის აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თუმცა, მენეჯმენტმა შეიძლება შეუქცევადად გადაწყვიტოს ცვლილებების სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენა სხვა სრულ შემოსავალში, იმ პირობით, რომ ინსტრუმენტი ვაჭრობისთვის არაა განკუთვნილი. თუ წილობრივი ინსტრუმენტი ვაჭრობისთვისაა განკუთვნილი, ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში;
- IAS 39-ის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის და აღრიცხვის მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად იქნა გადატანილი IFRS 9-ში. მთავარი განსხვავება ისაა, რომ ბიზნესერთეულს მოეთხოვება, სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საკუთარი რისკის ცვლილებების ეფექტი წარმოადგინოს მოგებაში ან ზარალში სხვა სრული შემოსავლის კატეგორიაში;
- IFRS 9-ით შემოღებულია გაუფასურების დანაკარგების აღიარების ახალი მოდელი - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელი (ECL). არსებობს სამეტაპიანი მიდგომა, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებაზეა აგებული. პრაქტიკაში, ახალი წესები ნიშნავს, რომ ბიზნესერთეულებს მოუწევს ჩაწეროს ზარალი, რომელიც უდრის 12-თვიან ECL-ს იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, რომლებიც არაა საკრედიტო რისკით გაუფასურებული (ან არსებობის მთელი პერიოდის ECL სავაჭროდ განკუთვნილი მისაღები შემოსავლებისთვის). თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზრდება, გაუფასურება ანგარიშდება არსებობის მთელი პერიოდის ECL-ით და არა 12-თვიანით. მოდელი საიჯარო და სავაჭრო მისაღები შემოსავლებისთვის ითვალისწინებს ოპერაციულ გამარტივებას.
- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებში შევიდა ცვლილება აღრიცხვის და რისკების მართვის უფრო მეტად დაახლოების მიზნით. სტანდარტი ბიზნესერთეულებს აძლევს საშუალებას, სააღრიცხვო პოლიტიკაში გააკეთონ არჩევანი: დანერგონ ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები IFRS 9-ის მიხედვით ან განაგრძონ ყველა ჰეჯის IAS 39-ის მოთხოვნის

მიხედვით აღრიცხვა. სტანდარტი ამჟამად არ ითვალისწინებს მაკროჰეჯირების აღრიცხვას.

შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან

სტანდარტი IFRS 15 „შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან" ითვალისწინებს ძირითად პრინციპს, რომელის მიხედვითაც შემოსავალი უნდა აღიარდეს ტრანზაქციის ფასით, როცა საქონელი ან მომსახურება გადაეცემა კლიენტს. საქონლის ან მომსახურების გარკვეული ჯგუფები ცალკე უნდა აღიარდეს და სახელშეკრულებო ფასზე რაიმე დისკონტი ან დათმობა განაწილდეს ცალკეულ ელემენტებზე. თუ რაიმე მიზეზით ანაზღაურება ცვალებადია, უნდა აღიარდეს მინიმალური თანხები, თუ მათთან დაკავშირებით დაბრუნების მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს. კლიენტებთან ხელშეკრულების დასადებად გაწეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდეს და ამორტიზდეს იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ხელშეკრულების სარგებლის მოხმარება ხდება.

4. ახალი ბუღალტრული განცხადებები

4.1 IFRS 16, იჯარა (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდებიდან)

ახალი სტანდარტი ადგენს იჯარის აღიარების, შეფასების, წარმოდგენის და გამჟღავნების პრინციპებს. ყველა სალიზინგო ურთიერთობაში მოიჯარე თავიდან იღებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დასაწყისში. თუ საიჯარო გადახდები ხორციელდება გარკვეული პერიოდის მანძილზე, მოიჯარე აგრეთვე იღებს დაფინანსებას. შესაბამისად IFRS 16 გამორიცხავს ლიზინგის საოპერაციო იჯარად ან ფინანსურ იჯარად კლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს IAS 17 და ამის ნაცვლად შემოიღებს ერთი მოიჯარის აღრიცხვის მოდელს. მოიჯარემ უნდა აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტი ვადიანობით, თუ შესაბამისი აქტივი დაბალი ღირებულების არ არის; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთისგან განცალკევებით შემოსავალ-ხარჯების უწყისში. IFRS 16-ს მეიჯარის სააღრიცხვო მოთხოვნები გადააქვს IAS 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე საიჯარო ქონებას კვლავ საოპერაციო იჯარის ან ფინანსური ლიზინგის სახით აკლასიფიცირებს და განაგრძობს მათ სხვადასხვანაირად აღრიცხვას. ამჟამად კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

4.2 IFRS 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოიცა 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდებიდან)

IFRS 17 ანაცვლებს IFRS 4-ს, რომელმაც კომპანიებს მიანიჭა იმის გადაწყვეტის თავისუფლება, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით ეწარმოებინათ. ამის შედეგად ინვესტორებისათვის რთული იყო სხვა მხრივ იდენტური სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება და ერთმანეთისგან განსხვავება. IFRS 17 სტანდარტი ერთ პრინციპზეა აგებული და დაზღვევის ყველა ტიპის ხელშეკრულებას აღრიცხავს, მათ შორის გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომლებსაც მზღვეველი ფლობს. სტანდარტი მოითხოვს კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებასა და შეფასებას შემდეგნაირად: (ა) მომავალი ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით დაკორექტირებული მიმდინარე ღირებულება, (გამომუშავებული ფულადი ნაკადების) რომელიც მოიცავს გამომუშავებული ფულადი ნაკადების შესრულებაზე სრულ არსებულ ინფორმაციას საბაზრო ინფორმაციის შესაბამისად; დამატებული (თუ კი ეს მნიშვნელობა არის ვალდებულება) ან გამოკლებული (თუ ეს მნიშვნელობა წარმოადგენს აქტივს) (ბ) თანხა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების ჯგუფის გამოუმუშავებელ მოგებას (ხელშეკრულების მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან იმ პერიოდისთვის, რომლის დროსაც ისინი გასცემენ სადაზღვევო კომპენსაციას და თავისუფლდებიან რისკისაგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან გახდა წამგებიანი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

4.3 IFRIC 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის მეთოდების ინტერპრეტაციისას" (გამოიცა 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდებიდან).

IAS 12 აზუსტებს, თუ როგორ აღირიცხება მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არა იმას, თუ როგორ უნდა აისახოს ამ განუსაზღვრელობის ეფექტი. ინტერპრეტაცია განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული აღიარების და შეფასების მოთხოვნები IAS 12-ში, როცა მოგების გადასახადის ასახვასთან დაკავშირებით განუსაზღვრელობა არსებობს. კომპანიამ უნდა განსაზღვროს, თითოეული განუსაზღვრელი საგადასახადო შემთხვევა განცალკევებულად განიხილოს, თუ სხვა ერთ ან რამდენიმე განუსაზღვრელ საგადასახადო ინტერპრეტაციასთან ერთობლიობაში იქედან გამომდინარე, თუ რომელი მიდგომაა უკეთესი განუსაზღვრელობის გადასაწყვეტად. კომპანიამ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლების შემოწმების უფლებაც აქვს, და სრულად იქნება ინფორმირებული ყველა შესაბამის საკითხზე აღნიშნული შემოწმებისას. თუკი კომპანია დაუშვებს, რომ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს განუსაზღვრელ საგადასახადო ინტერპრეტაციას, მაშინ

ამგვარი განუსაზღვრელობის გავლენა აისახება შესაბამისი დასაბეგრი მოგების ან ზარალის განსაზღვრაში, საგადასახადო ბაზაში, გამოუყენებელ საგადასახადო დანაკარგებში, გამოუყენებელ საგადასახადო შეღავათებში ან საგადასახადო განაკვეთებში. ამის დადგენისას გამოიყენება ან ყველაზე მოსალოდნელი თანხა ან მოსალოდნელი ღირებულება, იმის მიხედვით, თუ, კომპანიის გადაწყვეტილებით, რომელი მეთოდი უკეთ უზრუნველყოფს განუსაზღვრელობის მოგვარების პროგნოზირებას. კომპანია ასახავს ფაქტების და გარემოებების ან ახალი ინფორმაციის ცვლილების გავლენას ან ახალი ინფორმაციის გავლენას ინტერპრეტაციით მოთხოვნილ მოსაზრებებსა და შეფასებებზე, და სააღრიცხვო შეფასების ცვლილებებად განიხილავს. ფაქტების და გარემოებების ან ახალი ინფორმაციის ცვლილებების მაგალითები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ გადაწყვეტილების ან შეფასების გადასინჯვა, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: საგადასახადო ორგანოს შემოწმებებს ან ქმედებებს, საგადასახადო ორგანოების წესების ცვლილებს ან საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო ინტერპრეტაციის პრინციპის შემოწმების ან გადასინჯვის უფლების ამოწურვას. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანოს მხრიდან საგადასახადო ინტერპრეტაციაზე თანხმობის ან შეუთანხმებლობის არქონა, ცალკე, შეიძლება წარმოადგენდეს ფაქტების, გარემოებების თუ ახალი ინფორმაციის ცვლილებას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციის მიერ მოთხოვნილ მოსაზრებაზე და შეფასებაზე. ამჟამად კომპანია აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-18	31-დეკ-17
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში ეროვნული ვალუტის	358	4,307
დეპოზიტზე	10	-
დეპოზიტი	368	4,307
ფული და ფულის ეკვივალენტები სულ		

ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც რისკებისგან თავისუფალი, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ის ბანკები, რომლებშიც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, სანდო და კარგად ცნობილი ქართული საკრედიტო ინსტიტუტებია.

6. საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები

საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები	31-დეკ-18	31-დეკ-17
საბანკო დეპოზიტები ლარში	5,945	-
მოკლევადიანი დეპოზიტები	3,745	
გრძელვადიანი დეპოზიტები	2,200	
დარიცხული პროცენტი	91	-
დარიცხული პროცენტი მოკლევადიან დეპოზიტებზე	85	
დარიცხული პროცენტი გრძელვადიან დეპოზიტებზე	6	
საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები სულ	6,036	-

საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები წარმოდგენილია მოკლევადიანი (3-12 თვიანი) განთავსებებით და გამოიმუშავებს წლიურ საშუალო 11 პროცენტს.

საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უდრის ნულს.

7. დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები

დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები პერიოდის ბოლოს შედგება:

დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები	31-დეკ-18	31-დეკ-17
პოლისის მფლობელებისგან მისაღები თანხები	2,097	-
დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები სულ	2,097	-

ჩვენ შევამოწმეთ მისაღები შემოსავლების ვადიანობა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ ვიპოვეთ ცუდი ან საეჭვო მისაღები შემოსავლები. შესაბამისად, გაუფასურების რეზერვი არ შექმნილა.

დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უდრის ნულს.

8. გადაზღვევიდან მისაღები შემოსავლები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
გადაზღვევიდან მისაღები შემოსავლები		
გადაზღვევიდან მისაღები სხვა შემოსავლები	171	-
გადაზღვევის ანაზღაურების დანაკარგებთან დაკავშირებული ზარალები	21	-
გადაზღვევიდან მისაღები შემოსავლები სულ	**192**	-

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაზღვევიდან მისაღები შემოსავლები უდრის ნულს.

9. გადაზღვევის აქტივები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
გადაზღვევის აქტივები		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	1,914	-
გადაზღვევის აქტივები სულ	**1,914**	-

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაზღვევის აქტივები უდრის ნულს.

10. სააქციო კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, განცხადებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა იყო 4300. თითო აქციის ნომინალური ღირებულება იყო ერთი ლარი. ყველა განცხადებული აქცია იქნა გამოშვებული და სრულად გადახდილი.

კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგინეს აქციონერებმა ქართული ლარით. დივიდენდებსა და კაპიტალის განაწილებაზე უფლება აქვთ ქართული ლარით. 2018 წელს დივიდენდები არ დეკლარირებულა და არ გადახდილა.

საქართველოში საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებს აწესებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. მოთხოვნის თანახმად, მინიმალური კაპიტალი უნდა იყოს 4200 ლარი, საიდანაც 100% უნდა იქნას შენახული ბანკში ფულის სახით ან საბანკო დეპოზიტის სახით (2017 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს: 4300 და 100% ბანკში ფულის სახით ან საბანკო დეპოზიტის სახით)

ათასი ლარი	*გარდა აქციების რაოდენობისა*	გამოშვებული აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	საემისიო შემოსავალი	სულ

2016 წლის 31 დეკემბერს	-	-	-	-
გამოშვებული ახალი აქციები	4,300	4,300	-	4,300
2017 წლის 31 დეკემბერს	**4,300**	**4,300**	**-**	**4,300**
გამოშვებული ახალი აქციები	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერს	**4,300**	**4,300**	**-**	**4,300**

11. სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები პერიოდის ბოლოსთვის შედგება:

სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები	**31-დეკ-18**	**31-დეკ-17**
- გამოუშვებელი პრემიების რეზერვი	2,351	-
- დამდგარი, მაგრამ არგანცხადებული ზარალების რეზერვები	135	-
- პოლისის მფლობელების მიერ განცხადებული ზარალების რეზერვები	82	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები სულ	**2,568**	**-**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები უდრის ნულს.

სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებების ცვლილება წლის განმავლობაში ასეთია:

	31-დეკ-18	**31-დეკ-17**
პერიოდის დასაწყისში	-	-
წლის განმავლობაში ანაზღაურებული პრემიები	5,442	-
წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები	(3,091)	-
მიმდინარე შემთხვევების წელს დამდგარი ზარალები	318	-
წლის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალები	(101)	-
პერიოდის ბოლოს	**2,568**	**-**

სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები - პირობები, დაშვებები და სენსიტიურობა

(1) პირობები

პოლისებით გათვალისწინებული რისკები, როგორც წესი, 12-თვიან პერიოდზეა გათვლილი. სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის ზარალების რეზერვები (რომლებიც შედგება პოლისების მფლობელების მიერ განცხადებული ზარალების და იმ ზარალებისგან, რომლებიც დადგა, მაგრამ არ განცხადებულა) კეთდება დამდგარი ზარალების ვალდებულებების დაფარვის საბოლოო ხარჯის გადასახდელად. რეზერვების სიდიდე წინასწარ ანგარიშდება საანგარიშგებო დღისთვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე.

რეზერვები ყოველთვიურად იხვეწება; ეს ჩვეულებრივი, მიმდინარე პროცესია და ზარალების

გამოცდილების განვითარებიდან გამომდინარეობს. გარკვეული ზარალები ანაზღაურდება, სხვები განცხადდება. აუნაზღაურებელი ზარალების რეზერვები არ დისკონტირდება ფულის დროითი ღირებულებით.

(2) დაშვებები

ცალკეული ბიზნესმიმართულებების ისტორიულ შედეგებზე დაყრდნობით კომპანია იხილავს მის ვადაგაუსვლელ რისკს და ამით ადგენს მოსალოდნელი ზარალების საერთო ცვლილებას.

12. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები

სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	31-დეკ-18	31-დეკ-17
გადასახდელი გადაზღვევის ბონუსი	1,894	-
აგენტისთვის გადასახდელი საკომისიო	4	-
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები სულ	**1,898**	-

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა სადაზღვევო ვალდებულებები უდრის ნულს.

13. გადავადებული საკომისიო შემოსავალი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან

გადავადებული საკომისიო შემოსავალი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	31-დეკ-18	31-დეკ-17
გადაზღვევის საკომისიო	151	-
მთლიანი გადავადებული საკომისიო შემოსავალი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	**151**	-

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საკომისიო შემოსავალი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან უდრის ნულს.

14. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები	31-დეკ-18	31-დეკ-17

გადასახდელი მოგების გადასახადი	270	1
სხვა	59	-
სხვა ვალდებულებები სულ	**329**	**1**

15. წმინდა სადაზღვევო შემოსავალი

	2018	2017
სადაზღვევო შემოსავალი	2,704	-
ბრუტო ანაზღაურებული პრემიები	(447)	-
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება, ბრუტო	**2,257**	**-**
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი		

დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

2018 წლის 31 დეკემბერი	ანაზღაურებული პრემია, ბრუტო	გადამზღვეველის წილი ბრუტო ანაზღაურებულ პრემიაში	წმინდა ანაზღაურებული პრემია	წმინდა ცვლილებები გამოუმუშავებელ პრემიაში	წმინდა სადაზღვევო შემოსავალი
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა	2,795	(288)	2,507	320	2,187
სატრ. საშ. მესამე მხარის ვალდებულების დაზღვევა	71	(33)	38	19	19
ქონების დაზღვევა	300	(181)	119	82	37
BBB - კომპლექსური საბანკო დაზღვევა და კომპიუტერული დანაშაულის დაზღვევა	93	(87)	6	3	3
საჰ.ტრანს.დაზღვევა (კორპუს. დაზღ)	1,091	(1,091)	-	-	-
საჰ.ტრანს.გამოყ. დაკავშ. ვალდებულების დაზღვევა	1,031	(1,031)	-	-	-
დამსაქმებ. ვალდებულ. დაზღვევა	29	-	29	19	10
შეწყვეტით გამოწვ. სადაზღ. დანაკარგები	8	(5)	3	2	1
მგზავრების, მძღოლის ან ეკიპაჟის უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა	23	(23)	-	-	-
სპეც. მანქ-დანადგ.დაზღვევა	1	(1)	-	-	-
მთლიანი წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	**5,442**	**(2,738)**	**2,704**	**447**	**2,257**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა სადაზღვევო შემოსავალი უდრის ნულს.

16. საპროცენტო შემოსავალი

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	279	8
მოკლევადიან დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტი	212	-
გრძელვადიან დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტი	**491**	**8**
საპროცენტო შემოსავალი სულ		

17. სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებების წმინდა ცვლილება

სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებების წმინდა ცვლილება	2018	2017
გადამზღვეველის წილი ზიანის ანაზღაურებაში	208	-
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან,	(6)	-
წმინდა	202	-
მთლიანი წმინდა ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებში		

სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებების წმინდა ცვლილება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უდრის ნულს.

18. ხელფასები და თანამშრომლების სხვა ბენეფიტები

ხელფასები და თანამშრომლების სხვა ბენეფიტები	2018	2017
მენეჯმენტის ხელფასები	238	-
ადმინისტრაციული პერსონალი	86	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები სულ	324	-

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელფასის ხარჯი უდრის ნულს.

19. სხვა საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები	2018	2017
სადაზღვევო ცენტრის სავალდებულო წევრობა	93	1
სხვა ხარჯი	188	-
საოპერაციო ხარჯები სულ	281	1

20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018	2017
საოპერაციო იჯარა და ქირა	21	-
მარკეტინგი და რეკლამირება	32	-
კომუნალური ხარჯები	10	-
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	24	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	5	-
საოფისე ნივთები	2	-
ბანკის საკომისიოები	4	-

მივლინებები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	1	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები სულ	**144**	-

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები უდრის ნულს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროფესიული მომსახურების ხარჯებში შედის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურების და სხვა პროფესიული მომსახურების საფასური 16 ათასი ლარი, როგორც ეს განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით. (2017: 0 ათასი ლარი)

21. მოგების გადასახადი

IFRS-სა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დაბეგვრას შორის განსხვავება იწვევს ფინანსური ანგარიშგების მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და მათ საგადასახადო ბაზას შორის დროებით განსხვავებებს.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი/ვალდებულება გაანგარიშებული იქნა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოგების გადასახადის ხარჯი	2018	2017
მოგების გადასახადის ხარჯი	275	1
მთლიანი მოგების გადასახადის ხარჯი	**275**	**1**

გადავადებული გადასახადი	2018	2017
ძირითადი საშუალებები	4	-
სხვა ვალდებულებები	(11)	-
სხვა აქტივები	1	-
მთლიანი გადავადებული გადასახადი	**(7)**	**-**

22. ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები

იურიდიული

ბიზნესის ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობისას, კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სასამართლო საქმეები და წამოყენებული იქნას საჩივრები. მოთხოვნები კომპანიის მიმართ. მენეჯმენტს სჯერა, რომ რომ ამ ქმედებებიდან და საჩივრებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ან მისი მომავალი ოპერაციების შედეგებზე არ მოახდენს რაიმე სახის მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება ცვლილებებს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას, რასაც შეიძლება ხშირად ჰქონდეს ადგილი. მენეჯმენტის მიერ ამ კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, როცა კომპანიის ტრანზაქციებსა და საქმიანობას ეხება,

შესაბამისი რეგიონული და ფედერალური ორგანოები შეიძლება არ დაეთანხმონ. საქართველოში ბოლო დროს მომხდარი მოვლენები მოწმობს, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო მტკიცე პოზიციას იკავებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციის და შეფასების დროს და ამიტომ, შესაძლოა, რომ ის ტრანზაქციები და ქმედებები, რომლებზეც წარსულში კითხვები არ დასმულა, ახლა სადავო გახდეს. შეიძლება განისაზღვროს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი. პრაქტიკული არ იქნება განისაზღვროს დაუმტკიცებელი მოთხოვნების ოდენობა, თუ ისინი წარმოიშვა, ან არახელსაყრელი შედეგის ალბათობა.
საგადასახადო ორგანოები ამოწმებს შემოწმებას დაქვემდებარებული წლის წინამორბედი სამი კალენდარული წლის საგადასახადო პერიოდს. გარკვეულ სიტუაციებში, შემოწმება შეიძლება უფრო ხანგრძლივ პერიოდსაც მოიცავდეს.

მენეჯმენტს სჯერა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია ადეკვატურია და რომ არის იმის ალბათობა, რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციები შენარჩუნდება.

23. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა სხვადასხვა რისკის წინაშე დგას. ამიტომ, რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობის კრიტიკული კომპონენტია. რისკი კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელია და მუდმივი გამოვლენის, შეფასების და ყოველდღიური კონტროლის საშუალებით იმართება, რისკების ლიმიტებიდან და სხვა კონტროლიდან გამომდინარე. კომპანიის თითოეული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია მის სამსახურებრივ მოვალეობებთან დაკავშირებულ რისკების პოზიციებზე. კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი მთავარი ფინანსური რისკები უკავშირდება საპროცენტო განაკვეთების და გაცვლითი კურსების საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო ცვლილებებს და აქციების ფასებს. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

23.1 მმართველობის სისტემა

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სისტემის უპირველესი ამოცანა კომპანიის ისეთი მოვლენებისგან დაცვაა, რომლებიც ხელს უშლის კომპანიის მიერ შედეგების მდგრად მიღწევას, მათ შორის შესაძლებლობების ათვისებას. კომპანია აცნობიერებს რისკების მართვის ეფექტიანი და ეფექტური სისტემების ქონის კრიტიკულ მნიშვნელოვნებას.

კომპანიის აღმასრულებელი მენეჯმენტი რისკებს რეგულარულად აკონტროლებს და მართავს: ანაწილებს დავალებებს, ქმნის სხვადასხვა სამუშაო ჯგუფს, შეიმუშავებს რისკების მართვის პოლიტიკას და შესაბამის გაიდლაინებს, აკონტროლებს მათ შესრულებას და შესაბამისი დეპარტამენტების მუშაობის შედეგებს.

აღმასრულებელი მენეჯმენტი რეგულარულად იკრიბება და ამტკიცებს ამ პოლიტიკის კომერციულ, საზედამხედველო და საკუთარ ორგანიზაციულ მოთხოვნებს. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკების გამოვლენას და ინტერპრეტაციას, ზღუდავს სტრუქტურას, რითაც უზრუნველყოფს აქტივების სათანადო ხარისხსა და დივერსიფიკაციას და დაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობას კომპანიის მიზნებთან, აკონკრეტებს საანგარიშგებო მოთხოვნებს.

23.2 კაპიტალის მართვის ამოცანები, პოლიტიკა და მიდგომა

კაპიტალის პოზიციაზე გავლენის მომხდენი რისკების მართვის მიზნით, კომპანიამ ჩამოაყალიბა კაპიტალის მართვის შემდეგი ამოცანები, პოლიტიკა და მიდგომები.

კაპიტალის მართვის ამოცანებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და პოლისების მფლობელთათვის დაცულობის ხარისხის უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად განაწილება, იმის უზრუნველყოფა, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებს ამ კაპიტალის მიმწოდებლების და აქციონერების მოთხოვნებს და ამით ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.
- ძლიერი ლიკვიდობის შენარჩუნებით ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება.
- ფინანსური სიძლიერის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის მხარდაჭერა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოების და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანიის ოპერაციები ასევე ექვემდებარება ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულებას იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის მოქმედებს. ეს რეგულაციები არა მხოლოდ საქმიანობის კონტროლს და დამტკიცებას გულისხმობს, არამედ გარკვეულ შემზღუდავ დებულებებსაც მოიცავს, მაგალითად, კაპიტალის ადეკვატურობაზე, რათა სადაზღვევო კომპანიებმა შეძლონ დეფოლტის და გადახდისუუნარობის რისკის მინიმიზება და გაუთვალისწინებელი ვალდებულებების (მათი წარმოშობისას) შესრულება.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებით გულისხმობს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური სავალდებულო ოდენობით ქონას და ასევე, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივებით გათვალისწინებული საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, საკმარისი ოდენობის ლიკვიდური აქტივების ფლობას. ლიკვიდურ აქტივებში შეიძლება გაერთიანდეს შემდეგი აქტივები: ფული და ფულის ეკვივალენტები, სხვა საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები, გაცემული სესხები, საინვესტიციო ქონება და სხვა ფინანსური აქტივები, როგორც ეს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერაა განსაზღვრული.

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

24.1 სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის იმის რისკი, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, მათ შორის ადგილი ექნება ზარალის ოდენობის და ვადების განუსაზღვრელობას. ამ ხელშეკრულებების მიხედვით კომპანიის მთავარი რისკი არის ის, რომ ფაქტობრივი ზარალები და სარგებელის გადახდები გადააჭარბებს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალების სიხშირე, ზარალების სერიოზულობა, გადახდილი სარგებელი, რომელიც თავდაპირველად შეფასებულზე დიდია, და გრძელვადიანი ზარალების შემდგომი მოვლენები.

კომპანია სადაზღვევო რისკის კონტროლისთვის იყენებს ზარალის კოეფიციენტს და კომბინირებულ კოეფიციენტს. ზარალის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც წმინდა სადაზღვევო ზარალები გაყოფილი წმინდა სადაზღვევო შემოსავალზე. კომბინირებული კოეფიციენტი კი ზარალის კოეფიციენტის და ხარჯის კოეფიციენტის ჯამია. ხარჯის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც დაზღვევასთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯები, გარდა საპროცენტო ხარჯისა, გაყოფილი წმინდა სადაზღვევო შემოსავალზე.

24.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ის რისკი, რომ კომპანია ნახავს ზარალს იმის გამო, რომ მისი კლიენტები, მომხმარებლები ან კონტრაგენტები ვერ შეასრულებენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს იმ რისკზე ლიმიტების დაწესებით, რომელიც მას უნდა რომ აიღოს ცალკეულ კონტრაგენტებზე და პროდუქტებისა და ვალუტების კონცენტრაციებზე და ამ ლიმიტებთან მიმართებაში პოზიციების მონიტორინგით. ასევე, კომპანია აარსებს და რეგულარულად აკონტროლებს კრედიტების პირობებს დებიტორების ტიპების მიხედვით, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროაქტიულ მექანიზმს წარმოადგენს.

კომპანიამ შექმნა კრედიტის ხარისხის შემოწმების პროცესი, რაც კონტრაგენტების გადახდისუნარიანობის შესაძლო ცვლილებების ადრეული გამოვლენის საშუალებას იძლევა. ამაში შედის ვალის მომსახურების, მისაღები შემოსავლების ვადიანობის და ა.შ. რეგულარული ანალიზი. კონტრაგენტების ლიმიტები დგინდება კრედიტის პირობებთან კომბინაციაში.

კრედიტის ხარისხის შემოწმების პროცესი კომპანიას საშუალებას აძლევს, შეაფასოს იმ რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი, რომლების წინაშეც ის დგას და გაატაროს საკორექციო ღონისძიებები.

24.3 ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანია ვერ შეასრულებს გადახდების ვალდებულებას, მათი ვადის დადგომისას, ნორმალურ ან სტრესულ ვითარებებში. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, მენეჯმენტმა უზრუნველყო დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების არსებობა, კაპიტალის გარდა. ის აქტივებს მართავს ლიკვიდობის ფაქტორის გათვალისწინებით, და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულადი ნაკადების მოძრაობას და ლიკვიდობას. ეს გულისხმობს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის და ლიკვიდობის საჭიროებების ყოველდღიურ მონიტორინგს.

კომპანია მისი აქტივების და ვალდებულებების ვადებს მართავს უკეთესი შესაბამისობის მიზნით. ეს კომპანიას ეხმარება ლიკვიდობის რისკის კიდევ უფრო შემცირებაში. კომპანიის წინაშე მდგარი მთავარი ლიკვიდობის რისკებია არსებული ფულის რესურსებზე ყოველდღიური მოთხოვნები მომწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ზარალები და ნასესხები სახსრების ვადები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები მათი შესაბამისი ვადების მიხედვით, ანგარიშგების დღეს სახელშეკრულებო ვადამდე დარჩენილი პერიოდით ან მოსალოდნელი დაფარვის თარიღით.

31-დეკ-18	*ერთ წლამდე*	*ერთ წელზე მეტი*	*სულ*
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	368	-	**368**
საკრ. ინსტ. მისაღები თანხები	3,836	2,200	**6,036**
დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები	2,097	-	**2,097**
უძრ. ქონება, დანადგ. და მოწყობილობა	-	25	**25**
სხვა აქტივები	49	-	**49**
მთლიანი აქტივები	**6,350**	**2,225**	**8,575**
ვალდებულებები:			
სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებები	2,568	-	**2,568**
სხვა ვალდებულებები	329	-	**329**
მთლიანი ვალდებულებები	**2,897**	-	**2,897**
წმინდა პოზიცია	**3,453**	**2,225**	**5,678**
აკუმულირებული გეპი			

31-დეკ-17	ერთ წლამდე	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,307	-	4,307
მთლიანი აქტივები	4,307	-	4,307
ვალდებულებები:			
სხვა ვალდებულებები	1	-	1
მთლიანი ვალდებულებები	1	-	1
წმინდა პოზიცია	4,306	-	4,306
აკუმულირებული გეპი			

25. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებებთან დაკავშირებული თანხები და ვადები განისაზღვრება მენეჯმენტის საუკეთესო პროგნოზებით, რომლებიც თავის მხრივ სტატისტიკურ მეთოდებს და წარსულ გამოცდილებას ემყარება. მენეჯმენტს სჯერა, რომ კომპანიის ლიკვიდობის არსებული დონე საკმარისია მისი ყველა მიმდინარე მოვალეობის და ვალდებულების დროულად შესასრულებლად და დასაკმაყოფილებლად.

კომპანიას შესაბამისობაში მოჰყავს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ვადები და ნეგატიურ გეპებზე აწესებს მაქსიმალურ ლიმიტს.

25.1 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება იმერყევებს ისეთი საბაზრო ცვლადების ცვლილებების შედეგად, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები და უცხოური ვალუტა.

კომპანიას აქვს პოზიცია საბაზრო რისკებზე. საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების (ფასის რისკი) მერყეობის გამო, სულერთია, ფასის ეს ცვლილება ცალკეული ინსტრუმენტისთვის ან მისი ემიტენტისთვის სპეციფიკური ფაქტორებითაა გამოწვეული თუ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილ ყველა ინსტრუმენტზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორებით.

25.2 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა იმ ალბათობისგან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

25.3 სავალუტო რისკი

კომპანიის ფინანსური მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე გავლენას ახდენს დომინანტი უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის ეფექტები. კომპანიის მთავარი ტრანზაქციები ქართული ლარით ხორციელდება, სავალუტო რისკის პოზიცია კი ძირითადად აშშ დოლართან მიმართებაში წარმოიშობა, რადგან აშშ დოლარში დენომინირებული სადაზღვევო ოპერაციები კომპანიის ოპერაციებში მნიშვნელოვან წილს იკავებს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები აჩვენებს იმ ვალუტებს, რომელთა მიმართაც კომპანიას თავისი

ფულადი აქტივებით და ვალდებულებებით მნიშვნელოვანი პოზიცია ჰქონდა 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზში გაანგარიშებულია ვალუტის კურსის ქართული ლარის მიმართ გონივრულად შესაძლებელი ცვლილების ეფექტი, მოგების ან ზარალის ყველა სხვა ცვლადის მუდმივობისას. ცხრილში მოცემული უარყოფითი რიცხვი ასახავს მოგების ან ზარალის შესაძლო წმინდა შემცირებას, დადებითი რიცხვი კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას.

31-დეკ-18	GEL	USD	EUR	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	358	10	-	368
საკრედიტო ინსტიტუტ. მისაღ. თანხები	6,036	-	-	6,036
დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მისაღ. შემოს.	2,152	138	-	2,290
მთლიანი აქტივები	8,546	148	-	8,694
ვალდებულებები:				
სხვა ვალდებულებები	329	-	-	329
მთლიანი ვალდებულებები	329	-	-	329
წმინდა პოზიცია	8,217	148	-	8,365

31-დეკ-17	GEL	USD	EUR	Total
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,307	-	-	4,307
მთლიანი აქტივები	4,307	-	-	4,307
ვალდებულებები:				
სხვა ვალდებულებები	1	-	-	1
მთლიანი ვალდებულებები	1	-	-	1
წმინდა პოზიცია	4,306	-	-	4,306

26. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეთა შორის

სტანდარტის IAS 24 „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ გამჟღავნებები" თანახმად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარის მიერ ფინანსური ან ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებულ მხარეთა ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ, ერთმანეთთან განახორციელონ ისეთი ტრანზაქციები, რომლებსაც დაუკავშირებელი მხარეები არ განახორციელებდნენ. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციების განხორციელება არ შეიძლება იმავე პირობებით და თანხებით, რომლებითაც დაუკავშირებელ მხარეთა შორის ტრანზაქციები განხორციელდებოდა. ქვემოთ მოცემული ყველა ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელდა ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის" პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები შემდეგია:

შემოსავლების და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეთა შორის 2018 წელს იყო შემდეგი:

	მშობელი კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სადაზღვევო შემოსავალი, ბრუტო	398	894	1,292
საპროცენტო შემოსავალი	394		394
	792	894	1,686

	მშობელი კომპანია	მთავარი მენეჯმენტის პერსონალი	სულ
საოპერაციო იჯარის და ქირის ხარჯი	21		21
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	15		15
ხელფასები და ფულადი ბონუსები		63	63
	36	63	99

27. შემდგომი მოვლენები

ეს ანგარიში გამოსაქვეყნებლად მზად იყო 2019 წლის 13 თებერვალს. შემდგომ მოვლენებს, რომლებიც აღნიშვნის ღირსია, ადგილი არ ჰქონია.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190441082
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.04.2019წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო შოშიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. 9
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2933087
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	14448313175919

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაორ აპრილს, მე, ნოტარიუსი ნინო შოშიაშვილი, რომლის სანოტარო ბიური მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 9-ში. ვადასტურებ მთარგმნელის ეკატერინე კალდელაკის (დაბადებული 08.09.1974წ. რეგ. მისამართი: თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 2 ბ. 54, პირადი №01006012815, დიპლომი სერთიფიკატი №13CGE0015009 გაცემული კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ 2013წ.) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა, გაეაფრთხილე მთარგმნელი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ და რომ რომ ჯეროვნად იცის ქართული და ინგლისური ენები და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. სანოტარო აქტი შედგა მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი, №1-ში.

22.04.2019 I, NINO SHOSHIASHVILI, the notary, the Notary office of which is located at the address: Tbilisi, 9, Leselidze str, certify that the signature of the Translator ***Ekaterine Kaldelaki*** *(born on 08.09.1974, address: Apt. № 54, 2 blockhouse, quarter II, Dighomi mass., Tbilisi, personal №01006012815, Certificate №13CGE0015009, issued by Cambridge University in 2013) is genuine I, Notary Public have warned the translator, that she was responsible for an accurate translation. The translator confirmed that there exist no circumstances excluding translating and that she duly knew Georgian and English languages and ensured the exactness of the translation. The notary act has been fulfilled at the following address: Q.Tsamebuli street N1, Tbilisi.*

გადახდილია 70.00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახლაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების 2011 წლის 29 დეკემბერის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, მისამართზე გასვლის 20.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 34-ე მუხლისა, ასევე დღგ 16.20 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა., (2 ეგზემპ.).

Fee paid 70-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, in compliance with the Article 34 ,for the following to the address *20.00* GEL, *also VAT 16.20 GEL, according to Article 169th of Georgian Tax Code (including VAT). Also 2-00 GEL, according to the Article 39th resolution (dated 29.12.2011.), (2 cop.).*

ნოტარიუსი _____ */ნინო შოშიაშვილი/*

The notary *Nino SHOSHIASHVILI*